

სარბიელი

საორტული გაზეთი

შაბათი 28 ივნისი 2003 №119 (1890)

ფასი 50 თეთრი

ბაზალი კაბინეტის ფოტო



ბასა ბალაძე სარბიელის პრიზი და ინტერვიუ მოხლე პასებით

ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელობა არაა იოლი საქმე, ალბათ დავიმსახურებ და ამიტომაც მაღლობა ქართველ შურნალისტებს. საქართველოს საფეხის საუკეთესო ფეხბურთელი ვარ. „სარბიელის“ პრიზი პრიზთა უორის ჩემთვის გამორჩეულია. საერთოდ, ცერემონიალს, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, გულიანი განწყობა იყოს. დღეს მე კმაყოფილი დავრჩი

გუშინ კახა კალაძემ „სარბიელის“ პრიზი ზედინდელ მესამედ ჩაიბარა. იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

42 ოცნების კარი მკიბედ გაიღო ფაჩულია დიდხანს ალოღინას




დალოცვილი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კარი მესამე ქართველმა შეაჭრია. 20 წლის ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია 26 ივნისის ნიუიორკული დრაფტის მეორე სრეში აიყვანა 42-ე არჩევნის მქონე ფლორიდა კლუბმა „ორლანდო მეჯიქმა“.

42-ე რა ბედენააო, იკითხავთ. უფრო მაღალ ნომრად არჩევა, იცოცხლეთ, ყველას გვინდოდა და თავად ზაზაც ამის სურვილით იწვოდა, მაგრამ არ გამოვიდა. მიზეზი ნლეგანდელ დრაფტზე არამერიკელთა სარეკორდო სიჭარბეა — 58 არჩეულიდან 21 უცხოელია.

კმაყოფილი თუ უკმაყოფილო, ზაზა ფაჩულია ნადრაფტებს ორლანდოს ეწვია და სხვა ორ ნადრაფტულ ორლანდოელთან ერთად იქაურ მედი-

ას წარუდგა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება ქართველის და ფლორიდა კლუბის ურთიერთობა. თუ „მეჯიქმა“ მისი დატოვება ისურვავ, 42-ე ნომრად არჩეულ ქართველს არც ძალიან დიდი ჯამაგირი ექნება და არც ისე შემოეღებებიან თავზე, როგორც დრაფტის პირველ ნომერ ლებრონ ჯეიმსს. ეს ერთი მხრივ კარგია, რადგან საპლეიოფო გაქანების გუნდში დასამკვიდრებლად ფაჩულიას დამატებითი სტიმული გაუჩნდება, თანაც „ორლანდოს“ კარგი ცენტრი სჭირდება.

უმთავრესი კი მაინც ისაა, რომ ფაჩულია ნბაშია, სადაც მოხვედრასაც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. დუხჭირი ცხოვრებით გულგატეხილი ქართველები კი, ვოვა სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილის შემდეგ, აგერ, მესამე ქართველის წამატებით გავიხარებთ.



ზაზა ფაჩულია თანადრაფტულ ორლანდოელებთან ერთად

სარბიელის გამოქონება



მუხამადი იბრაჰიმოვი და მანუჩა ბერიძე



ბუნა ბუნა 2002-2003 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

ზღვივად მასამ იბრაჰიმოვი
ზღვივად მასამ ლაურაბთაძე

- საყვარელი გართობა ინტერნეტში...
- ჩემი ვებ-გვერდი და ინფორმაცია ახალ მანქანებზე.
- ვიცით, ყვავილები გიყვარს...
- ძალიან.
- საყვარელი ყვავილი?
- ვარდი.
- ცოლი არ მოგყავს?
- ჯერ არა.
- მეუღლედ იტალიელი ხომ არ გასურს?
- ამას ცხოვრება მიჩვენებს.
- საყვარელი ქალაქი...
- თბილისი და კიევი.
- საყვარელი სათამაშო ფორმა...
- შავ-წითელი მაისურა.
- საყვარელი სათამაშო ნომერი...
- 4.
- გართობა ცხოვრებაში...
- ქალები.
- მილანში ხალხის თავშეყრის ყველაზე პოპულარული ადგილი დიემოს მოედანია. იქ სეირნობ-ხოლმე?
- იშვიათად. ძალიან ბევრი ხალხი იყრის თავს და შეზღუდული ვარ.
- მილანში ბევრი მოტოციკლით დადის. შენც ხომ არ გაქვს მოტოციკლის შეძენის სურვილი?
- არანაირი.
- ცნობილ მილანელთაგან, რა თქმა უნდა, ფეხბურთელების გარდა, ვისთან გაქვს ახლო ურთიერთობა? მილანში ჩელენტანოც ცხოვრობს...
- ჩელენტანოს არ ვიცნობ. სამაგიეროდ, კარგი ურთიერთობა მაქვს ჯორჯო არმანისთან და ეროს რომაზოტისთან.
- ამ წლის კურიოზი...
- არაფერი მახსენდება.
- იტალიური ანეკდოტები ქართულისგან განსხვავებულია?
- არაფრით, თითქმის ერთნაირია.
- ყველაზე ცნობილი, პიროვნება, ვისთვისაც ავტოგრაფი ვითხოვია...
- კოლექციის მოყვარული არ ვარ. ზოგი მაისურებს, ავტოგრაფებს აგროვებს, მე — არა.
- ყველაზე ცნობილი, ვისთვისაც ავტოგრაფი მიგიცია...
- იგივე არმანი... ავტოგრაფი, ჩვეულებრივ, კარგი უესტია.
- „მილანში“ რომელი ფეხბურთელის თამაშს ისურვებდი?
- „მილანს“ ისეთი სუსტი ადგილი არ აქვს, ვინმე ვისურვო.
- ფეხბურთი რომ არა, რა პროფესიას აირჩევდი?
- არ ვიცი. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა.
- საყვარელი გაზეთი...
- „გაბეტა დელო სპორტი“ და „სარბიელი“.
- კახა კალაძე პოლიტიკისგან შორსაა თუ ახლოს?
- პოლიტიკაზე ლაპარაკს ვერიდები, არ მიყვარს. გული მტკიავს, რომ საქართველოში ისე ვერ ცხოვრობენ, როგორც სხვა ქვეყნებში.
- „მილანი“ შეკრებას როდის იწყებს?
- 20 ივლისს.

კობა ინასარიძე

— კახა, უამრავ ცერემონიაზე, საზეიმო შეხვედრაზე, ბანკეტზე ყოფილხარ, რას ნიშნავს შენთვის დღევანდელი სტუმრობა ფურანლისტებთან?

— ძალიან სასიამოვნო იყო. ამას ვამბობ გულწრფელად და არა ეთიკეტის გამო. ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელობა არაა იოლი საქმე, ალბათ დავიმსახურე და ამიტომაც მაძლობა ქართველ ფურანლისტებს.

— ბევრი ინდივიდუალური პრიზიც დაგომსახურებია. „სარბიელის“ პრიზს რომელ ადგილს მისცემ?

— რა თქმა უნდა, პირველს. საქართველოს სამეზის საუკეთესო ფეხბურთელი ვარ. „სარბიელის“ პრიზი პრიზთა შორის ჩემთვის გამორჩეულია. საერთოდ, ცერემონია, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, გულიანი განწყობა იყოს. დღეს მე კმაყოფილი დავიჩინე.

— კალაძის საუკეთესო თამაში კარიერაში...

— წლეულს „იუვენტუსთან“, ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

— „მილანისთვის“?

— შინ, მადრიდის „რეალთან“.

— კალაძის უცუდეესი თამაში...

— შარშანწინ პერუჯაში.

— გუნდის...

— იგივე, პერუჯაში.

— თუ გქონია მომენტი, როცა გიფიქრია, საფეხბურთო კარიერა დავამთავრო...

— არა.

— საუკეთესო სტადიონი „სან სიროს“ გარდა...

— „ოლდ ტრეფორდი“, „ამსტერდამ არენა“, „სანტიაგო ბერნაბეუ“.

— საუკეთესო ფეხბურთელთა სამეული...

— ნესტა, ვიერი, შევჩენკო...



კახა კალაძის პრიზი სარბიელელმა კობა ინასარიძემ გადასცა

კახას დღე

კაფე „მსოფლიო სპორტში“ აღრიანად მივედი, როგორც ორგანიზატორებმა თადარიგი დავიჭირეთ — 2002-03 წლების სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი უნდა დაგვეჯილდოვებინა.

ინტრიგის ბოლოსთვის შემონახვა არ ღირს, ადრევე ცნობილი იყო, რომ სპორტულმა ჟურნალისტებმა საუკეთესოდ „მილანის“ მცველი კახა კალაძე დაეასახელეთ.

და საერთოდ, „სარბიელის“ წლებიდან გამომდინარე ალბათ ყველაზე უინტრიგო იყო წინა ათ გამოკითხვასთან შედარებით.

იმის თქმა გვსურს, რომ ზოგადად ნებისმიერ გამოკითხვას თან ახლავს მოლოდინი, ინტრიგის, თუ ვის ერგება გამოკითხულთა სიმპათია. წლებულს კი, ჯერ კიდევ გამოკითხვამდე, ალბათ არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად სწორედ კახა კალაძეს დაეასახელებდით. ფაქტობრივად, შეგვეძლო გამოკითხვა არც ჩაგვეტარებინა და კახა პირდაპირ გამოგვეცხადებინა გამარჯვებულად, იმდენად შთაბეჭდველი იყო მისი თამაში და მიღწევები.

გამოკითხვის შედეგებმა კი ჩვენი საერთო რწმენა მხოლოდ დაადასტურა.

თუმცა მოვლენათა ქრონოლოგიას გადაუხვიეთ.

„მსოფლიო სპორტში“ აღრიანად მისულ სარბიელელებს საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლები და იტალიელი მორაგბეები დაგვხვდნენ — ორგანიზაციულ საკითხებზე საუბრობდნენ.

რაგბის მოყვარული თუ ბრძანდებით, იოლად გამოიცნობთ, რა მიზეზითაც იყო მთელი ეს შეკრება — დღეს და ხვალ „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეიძლება რაგბიში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშებია და გირჩევთ, არ გამოტოვოთ, ერთობ ხალისიანი რამ იქნება.

დავილოდოვებას მიუბრუნდეთ. ნელ-ნელა ჩვენი კოლეგა ჟურნალისტებიც შეიკრიბნენ და დრო საუბარში გაგვყავდა. ორჯერ ყურადღება ფეხბურთელებზე გადავიტანეთ, როცა დარბაზში გიორგი ლომია და შოთა არველაძე შემოვიდნენ. ნაღდი ჩოჩქოლი კი, ცხადია, კახა კალაძის გამოჩენას მოჰყვა.

კახა ყელზე ბრილიანტებით მოჭედებული ჯვრითა და ბოდიგარდთა თანხლებით მოვიდა და მაშინვე ტელე და მწერალ ჟურნალისტთა აღფაში მოექცა.

სანამ სცენის გვერდით მისთვის მოზადებულ ადგილამდე მიადგვოდა, ოციოდ წუთი მაინც გავიდა და ოფიციალური ღონისძიებაც დაიწყო.

ოფიციალური, კი ვთქვით, მაგ-



კახა კალაძე, შოთა არველაძე და გიორგი ლომია

რამ ყველაფერმა სწორედ რომ არაოფიციალურად, გულიან ატმოსფეროში ჩაიარა.

თავიდან კედელზე გაკრულ დიდ ეკრანზე წლებიდან ჩემპიონთა ლიგის ფინალზე გაკეთებული კლიპი ვნახეთ.

ჩვენ ხომ დიდი ინტერესით ვუყურეთ, კახაც თავისი ადგილიდან წამოდგა და არანაკლები ინტერესით ნახა იმ დიდი მატჩის მომენტები, რომლის მონაწილეც თავად იყო.

ამის მერე მიკროფონი ჩვენმა მეგობარმა, ჩემპიონთა ლიგის მატჩების კომენტატორმა დიმიტრი ობოლაძემ ჩაიგდო ხელში (რაც სცენარით გვექონდა გათვალისწინებული) და წამყვანობა ითავა.

თავიდან დიმიტრიმ გამოკითხვის შედეგები გამოაცხადა:

„სარბიელის“ მეთერთმეტე ყოველწლიურ გამოკითხვაში მონაწილეობა 48 სპორტულმა ჟურნალისტმა მიიღო, რომელთაგან 45-მა საუკეთესო ფეხბურთელად კახა კალაძე დაასახელა.

მეორე ადგილი აწ უკვე რეინჯერსელ ზურაბ ხიზანიშვილს ერგო, მესამე კი ძველი რეინჯერსელი შოთა არველაძე გავიდა.

გამოკითხვის შედეგების გამოცხადების მერე დიმიტრი ობოლაძემ სცენაზე სარბიელელი ილია ბაბუნაშვილი იხმო, ვინაც თავისი სასიროული შთაბეჭდილებები გაიხსენა და მოზარდ ფეხბურთელებს კახა კალაძისთვის მიბაძვა ურჩია. კახა ხომ ის ფეხბურთელია, მცირედ მიღწევას რომ არ კმაყოფილდება და სულ მეტი და მეტი უნდა.

ამის მერე კალაძეს საუკეთესოდ დასახელება შოთა არველაძემ და გიორგი ლომიამ მიულოცეს. ერთი მსოფლიოს ჩემპიონობა დაგრა მოსაგებო, უთხრა შოთამ. კაცმა რომ თქვას, ასეცაა, კახა კალაძე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში თამაშობს და მსოფლიოში ერთ-ერთი კი არა, ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდო აქვს მოგებული. პოდა, მისაღწევი თუ რამ დარჩა, ისევ სანაკრებო წარმატებებია.

ფეხბურთელების მერე მსახიობმა ბადურ წულაძემ გაგვიზიარა თავისი საფეხბურთო შთაბეჭდილებები, ამ სტრიქონების ავტორმა კი ის გაიხსენა, საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში, „მილანი“ — „რეალის“ მატჩისას როგორ გამწვარა კახამ ლუიშ ფიგუ.

ამის მერე „მსოფლიო სპორტში“ მყოფ საფეხბურთო კლუბ „ამერის“ კაპიტან ბექა გოცირიძეს კალაძემ, არველაძემ და ლომიამ ბურთზე ავტოგრაფები წააწერეს და ჯილდოს გადაცემის დროც დადგა.

სარბიელელმა კობა ინასარიძემ კახას საგანგებოდ დამზადებული პრიზი გადასცა, რაც, შეუნიშნოთ, რომ მილანელისთვის ზედიზედ მესამეა. შეხვედრის ოფიციალური ნაწილის გაძლივდა რომ მოათავა, დიმიტრი ობოლაძემ „სარბიელის“ თხოვნით თამაშობაც გასწია, თითო ჭიქით კახას და ქართული ფეხბურთის სადღეგრძელო შემოგვთავაზა და ალა ფურშეტზეც მიგვიპატიეთა.

ქართველები არ ვართ? თითო ჭიქაზე როგორ გაეჩერდებოდით...

სასიამოვნო ისიც იყო, რომ იქვე, სახელდახელოდ კახას ნაჩუქარი „მილანის“ მაისურაც ლატარიაში გაგათამაშეთ, რომელიც „ამერის“ ყმაწვილ ფეხბურთელ დავით მჭედლიშვილს ერგო. უნდა გენახათ მისი სიხარული...

ბოლოს კახამ უამრავი სამახსოვრო ფოტო გადაიღო — მსურველებს, განსაკუთრებით გოგონებს, რა გამოლევდა და დაგვემშვიდობა. ჩვენც ნელ-ნელა დავიმალეთ.

გიორგი ღარჯანიანი



გუმინ კახას მიმლოცველი და დამლოცველი არ აყლდა




სალაძის ხალისიანმა წამყვანმა დიმიტრი ობოლაძემ კახა კალაძისთან ერთად ლატარია გაათამაშა




აჭყო და მომავალი: კახა კალაძე და საფეხბურთო კლუბი „ამერი“





MARC VIVIEN FOE
1975 - 2003

- 1975 წლის პირველ მაისს კამერუნში, ნკოლოში დაიბადა
- 1993 — ეროვნული ნაკრების მაისურა პირველად მექსიკასთან მატჩში მოიხატა. ამავე წელს „ქენონ იაუნდეს“ შემადგენლობაში ქვეყნის თასი მოიგო. 65 სანაკრებო შეხვედრაში რვა გოლი გაიტანა.
- 1994 — აშშ-ში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. მუნდიალის დასრულების შემდეგ ფრანგულ „ლანსში“ გადავიდა და იქ ხუთი სეზონი დაჰყო.
- 1998 — საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. ივნისში ფეხი მოიტეხა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ მისი ტრანსფერი ამის გამო არ შედგა.
- 1999 — „ვესტ ჰემში“ გადავიდა.
- 2000 — აფრიკის ეროვნებათა თასი მოიგო და ინგლისიდან საფრანგეთში, ამჯერად „ლიონში“ გადაინაცვლა.
- 2001 — „ლიონთან“ ერთად საფრანგეთის ლიგის თასი აღმართა.
- 2002 — აფრიკის ეროვნებათა თასი მეორედ მოიგო, „ლიონი“ კი პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. შემოდგომაზე „მანჩესტერ სიტის“ ერთი სეზონით დაეხმარა და „ლიონში“ დაბრუნდა.
- 2003 წლის 26 ივნისი...



ტიერი ანრიმ მარკ ვივიენ ფოე ალალი ცრემლით ღიბტირა

ექიმები გააოგნა. ვესტჰემელებს ის არასოდეს დაავიწყდებათ, ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯებოდა და ყოველთვის სხეებზე უკეთ გამოიყურებოდა.

„ჩვენ არ დაგვიწყვებთ, მარკ ჩვენ ახლაც გვესმის შენი სიცილისა და სიმღერის ხმა, გასახდელიდან რომ გამოდიოდა“ — ასეთი გულისამაჩუყებელი სიტყვები თქვენს „ლიონის“ გულშემატკივრებმა.

კამერუნის დედაქალაქ იაუნდესში ტიროდნენ და დღესაც ტირიან, კამერუნში გლოვა გამოაცხადეს.

„ღიან, ბიჭები ვალდებულნი არიან, ქვეყნისთვის და მარკის სულითვის ითამაშონ. ჩვენ ზებ ბლანტერს ვესაუბრეთ და ასე გადავწყვიტეთ ეს საქმე. დარწმუნებული ვარ, მარკიც ასე მოიქცეოდა. ეს მისი ფინალია“ — თქვა ლეგენდარულმა როუე მილამ.

და სიკვდილის მიზეზი? „ვერჯერობით მხოლოდ ის დავადგინეთ, რომ გულის შეტევა არ ყოფილა. ტოქსიკოლოგიურ ტესტსაც ჩავუტარებთ და საბოლოოდ ყველაფერი მერე გაიკვევა“ — თქვა ლიონის საგამოძიებო დეპარტამენტის პროკურორმა რიშომ.

კამერუნის ნაკრების ექიმი ოლივიე ასამბა: „მას კუჭი აწუხებდა და გამოკვლევის შემდეგ ინფექციისგან განვკურნეთ. 25 ივნისს საღამოს მარკი თავის შესანიშნავად გრძობდა.“

ფიფას ვერსია: „პირველი დაზმარებისას ფეხბურთელი სუნსაკვდა, თუმცა თვალები ნელ-ნელა გადაუთეთრდა. ეს კომის წინაპირობას 3 გავდა — მარკი სტადიონის მედპუნქტში წაიყვანეს და საავადმყოფოში გადაყვანის გადაწყვეტილება არ მიუღიათ; თუმცა, იქვე იყო სასწრაფო დახმარების მანქანა. მედპუნქტში ყველაზე წამალი ჰქონდათ, რაც იმ მომენტისთვის სჭირდებოდა. ჟანგბადის მიწოდება არ შეუწყვეტიათ, მაგრამ დაახლოებით შვიდ წუთში ფეხბურთელს გული გაუჩერდა — 10-12 წუთის განმავლობაში ექიმებმა ყველაფერი იღონეს — ამაოდ — შუაგულში ღრით ცხრის ოც წუთზე მარკ ვივიენ ფოე გარდაიცვალა.“

მარკ ვივიენს ახლა ვერანაირი გამოკვლევა ვეღარ უშველის. ბოლოს კი რიგობერტ სონგის ნათქვამთან პირისპირ დაგტოვებთ: „შესვენებისას გასახდელში მარკმა მოგმართა: ბიჭებო, თქვენ შემოგველეთ, მოედანზე რომც დავიხოცოთ, ეს თამაში უნდა მოვიგოთ“ — მოიგეს და... ალბათ კონფედერაციის თასი მარკ ვივიენ ფოეს სახელობისა გახდება.

ის ლობი იყო შუაპროვადი დროით რვა საათსა და ოც წუთზე...

კონფედერაციის თასის დაწყებამდე კამერუნის ნაკრების მწვრთნელი ვინფრედ შეფერი თავის ბიჭებს ჯან-ლონეს უქებდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან შავი კონტინენტის შვილები გამძლეობით ყოველთვის გამოირჩეოდნენ.

კამერუნ-კოლუმბიის ნახევარფინალური მატჩის 72-ე წუთზე ტრაგედია დატრიალდა. 28 წლის მარკ ვივიენ ფოე, ისე, რომ არავინ შეხებია, მოედანზე მოცელილი ბალახით დაეცა.

როგორც წესი, თანაგუნდელისა თუ მეტოქის წაქცივის შემთხვევაში ფეხბურთელები ერთმანეთთან დასახმარებლად მიდიან. ფოე იმდენად უცნაურად, მოწყვეტით დაეშვა, ბევრს ალბათ მაშინვე გულმა რეჩხი უყო.

მოედანზე ექიმები შეცვივდნენ და ფეხბურთელი სასწრაფოდ წაიყვანეს.

აქ მცირედით გადაუხვევთ, და ერთ საინტერესო ფაქტს აღვნიშნავთ: მარკ ვივიენ ფოე „ლიონიდან“ „მანჩესტერ სიტისში“ შარშან ერთი წლით გაუშვეს. ის „ლიონის“ ფეხბურთელი იყო, „სტად ვერლანი“ კი ლიონელთა სტადიონია. სწორედ ამ სტადიონის მიწოდორზე დასრულდა მისი სიცოცხლე.

სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა, მაგრამ 28 წლის კამერუნელის გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ფიფას წარმომადგენელმა, ექიმმა აღფრედ მიუღერა საგანგებოდ შეკრებილთ აცნობა: „უწუხვარ, მაგრამ ცუდი ამბავი უნდა გითხრათ — მარკ ვივიენ ფოე გარდაიცვალა. ეს ყველა ჩვენგანის ტრაგედიაა. ამ დროისთვის მეტს ვერაფერს ვეტყვი“.

ამბის შემტყობი კამერუნელი ფეხბურთელების მდგომარეობა ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არაა. კონფედერაციის თასის ფინალში გასულეებს, საქმე სალხინოდ უნდა ჰქონოდათ და... მოთამაშის უცარი სიკვდილის

ამბავი მეორე ნახევარფინალური მატჩის მონაწილეებმა თამაშის დაწყების წინ გაიგეს.

საფრანგეთის ნაკრებში ხომ მისი არაერთი ლიონელი თანაგუნდელი თამაშობს. გრეგორი კუპეს, ტიერი ანრის, სხვა ფეხბურთელებისა და მრავალი გულშემატკივარის თვალზე ალალი ცრემლი ჩამოვორდა.

პირველი ვატანილი გოლი ტიერი ანრიმ ჰაერში ხელის აწევით აღნიშნა. მას თანაგუნდელებიც შეურთოდნენ. „ვინც მას იცნობდა, ვერასოდეს დაივიწყებს. ვერ გავაცოცხლებ, მაგრამ სულ ეს არის, რაც შემიძლია, გოლს მარკს ვუძღვნი“ — ანრიმ მატჩის შემდეგ ცრემლნარევი ხმით ილაპარაკა.

გრეგორი კუპეს, ნაკრებისა და „ლიონის“ მეკარეს, მარკ ვივიენთან ერთად შარშან საფრანგეთის ჩემპიონობა მოუგია: „ჩვენ ძმებივით ვიყავით. არაჩვეულებრივი ხასიათი ჰქონდა. ყველანი ახლა მარკის ოჯახზე ვფიქრობ. რა უწყობ, სიცოცხლე გრძელდება. ჩვენ თურქებთან აუცილებლად უნდა გვეთამაშა და ეს გამარჯვებაც მის ხსოვნას ეძღვნება“.

მარსელ ლესაი: „უსაშინლესი ტრაგედიაა. ღმერთმა დაგვიფაროს და ჩვენ რომ კამერუნელების ადგილზე ვყოფილიყავით, პირადად მე ფინალში თამაშზე უარს ვიტყვოდი. არ გამიკვირდება, კამერუნელები ასე თუ მოიქცევიან“.

ოლივიე დაკური: „ასეთი ამბის შემდეგ ძალიან გამიძნელდა მატჩზე კონცენტრირება. როცა მძიმე ფიქრი გაფორიაქებს, რთულია, გააზროს ის, რაც მოედანზე გვეკვლება. კარგა ხანს ნამდვილად შოკში ვიყავი“.



REUTERS მანჩესტერლიდან



1952 წლის მარტში, მადრიდის „რეალის“ ნახევარ-საუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ტურნირი კოლუმბიურმა „მილიონარიოსმა“ მოიგო. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა სანტიაგო ბერნაბეუმ ტურნირის დასრულებისთანავე ისეთი ფრაზა თქვა, რომელმაც სათავე დაუდო უდიდესი ფეხბურთელისა და უდიდესი გუნდის თანამშრომლობას.

მა თქვან გიყიდით დი სტეფანოს



მეგობრები და მტრები
რაც უფრო უკეთ ვგრძობდით თავს ბოლოტაში, მით უფრო ღიზიანდებოდნენ ჩვენი მტრები ბუენოს აირუსში. მამაჩემი, ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი, ერთხანს ყველა შემოტყეას იგერიებდა და არაფერს მატყობინებდა. მაგრამ როცა სასამართლოთი დაემუქრნენ, იძულებული გახდა, ჩემთვის ყველაფერი დაწვრილებით მოეთხრო. „რივერის“ მუქარის საპასუხოდა, მე და როსიმ ერთობლივი განცხადება გავაკეთეთ, რომელიც არგენტინის და კოლუმბიის აბსოლუტურად ყველა სპორტულ გაზეთში და სხვა გაზეთების ნაწილშიც დაიბეჭდა.

აი, ჩვენი არგუმენტებიც:
— აბსოლუტური სიცრუეა, თითქმის არგენტინაში რომელიმე ფეხბურთელი ნებაყოფლობით აწერს ხელს კონტრაქტს. საკონტრაქტო თავისუფლება არგენტინაში ყველგანაა, ფეხბურთის გარდა. ფეხბურთის ფედერაციის რეგლამენტი ისეა შედგენილი, რომ ფეხბურთელებს ნებისმიერ პირობებზე დათანხმებას აიძულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პროფესიაზე ხელის აღება უხდებათ — იმ პროფესიაზე, რომელიც მათი ოჯახების არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. არსებული რეგლამენტით, ნებისმიერი ფეხბურთელი, როგორც კლუბის საკუთრება, შეეძლება გაასესხონ ან გაყიდონ მათი ნების საწინააღმდეგოდ. მეტიც, ისინი შეიძლება ისეთ სამუშაოზეც კი გაუშვან, რომელიც მათ პროფესიას არ შეესაბამება. ვინც ამგვარ

მონურ პირობებზე უარს იტყვის, განდევნილია.
„ჩვენ საშუალება მოგვეცა თავისუფლად ვიმუშავოთ ჩვენი პროფესიით, ანუ საშუალება გვაქვს, თავად ავირჩიოთ სამუშაო პირობები. და ნებისმიერ ჩარევას ჩვენს საქმეებში, ჩვენს ოჯახებსა და თავისუფლებასზე თავდასხმად ჩათვლით. ...თუკი „რივერ პლეიტი“ ჩვენ ადამიანებად არ აღგვიქვამს და მხოლოდ გამდიდრების წყაროდ მიგვიჩნევს, მაშინ ჩვენც უფლებამოსილები ვართ, საკუთარი ნიჭი და ცოდნა ფულზე შევაფასოთ და იქ ვიმუშავოთ, სადაც ჩვენს შრომას უკეთესი ანაზღაურება ექნება.

ეს იყო მადრიდი
მერე რა მოხდა? პირველ სექტემბერს არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. მინიმალური ხელფასის ზღვარი გაიზარდა და კონტრაქტების პირობებიც შემსუბუქდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფედერაციამ გამოაცხადა, რომ კვლავაც წინააღმდეგია არგენტინელ ფეხბურთელთა უცხოეთში წასვლისა, რის გამოც — „როსი და დი სტეფანო ამოვალეთ ფედერაციის რეესტრიდან კოლუმბიაში თვითნებურად გამგზავრების გამო.“
ამ დროს მე და როსი კოლუმბიის ჩემპიონები გავხდით. ბოლო ტურში, „დეპორტივო კალისთან“, საჯარიმოს მოედნის გარედან გავიტანე გოლი და საშობაოდ ბუენოს აირუსში წავედი.
მშობლიურ ქალაქში ხალხმა გულთბილად მიმიღო. „რივერში“ კი

ჩემი ადგილი ურუგვაელ ვალენერ გომესს დაეკავებინა. კარგი ბიჭი იყო, პიროვნულადაც და როგორც ფეხბურთელიც.

15 იანვარს კი მე და სარა დავქორწინდით. სარას წინაპრები არგენტინაში ესპანეთიდან ჩამოვიდნენ, თავად კი „ბოკას“ გულშემმატკივარი იყო. ჩვენ ქუჩაში გავიციანით ერთმანეთი, ბლომად ბიჭები და გოგონები ვსეირნობდით. ვისაუბრეთ, ოღონდ რაზე — აღარ მახსოვს. მაგრამ ხომ იცით, ხშირად სრულიად უმნიშვნელო თემებზე საუბარი რამხელა გავლენას ახდენს შემდგომ ცხოვრებაზე. მე და სარა ორმოცდაათ წელზე მეტია, ერთად ვართ. მაშინ სარამ არაფერი იცოდა ჩვენს გაფიცვაზე და იმაზე, რომ კოლუმბიაში წასვლა მსურდა. ან რა უნდა სცოდნოდა, როცა გავიციანი, სულ რააც 17 წლისა იყო, მე კი — ოცდაერთის. ორი წელი ჩემს საცოლედ ითვლებოდა და „რივერის“ თამაშებზე დაიწყო სიარული. მატჩის მერე კინოში მივდიოდით, იქიდან კი კაფეში შევივლიდით-ხოლმე.

კოლუმბიაში გადაბარებამ ჩვენი ქორწინება დააჩქარა. რა უნდა შეკეთებინა კოლუმბიაში მარტოკას? არა, გოგონების ყურადღებით კი ვსარგებლობდი და წარმოიდგინეთ, ხანდახან ყვავილებსაც ვიღებდი. ჩემს მარტოხელა ცხოვრებას ძირითადად მაინც სიმპათიური და ენერგიული როსი ახალისებდა. მაგრამ ესეც მომბაზრებელი იყო. სადმე დავედებოდით, თითო ჭიქა ღვინოს დავევდით და ეს იყო და ეს. დილაობით ვვარჯიშობდით, ცხრის ნახევარზე ვიწყებდით, სანამ მზე ჯერ ძალიან არ აცხუნებდა. 11 საათიდან კი თავისუფლები ვიყავით და ყველა იმას აკეთებდა, რაც სურდა.

„მილიონარიოსი“ 4-3-3 სქემით, ძალიან აგრესიული და სწრაფი მანერით თამაშობდა. ხანდახან სამი მცველითაც ვთამაშობდით და მეოთხეს ნახევარდაცვაში ვუშვებდით. ფორვარდებიც ხშირად ვიხვედით უკან და ნახევარმცველებს ვეხმარებოდით, მაგრამ ნებისმიერი ფორვარდი ვაღებულვინა, დაცვის დროსაც შეტევაზე იფიქროს.
„მილიონარიოსი“ ბრწყინვალე გუნდი იყო, ტყუილად კი არ გვეძახებდნენ „ცისფერ ბალეტს“. ცისფერი ჩვენი მაისურების ფერი იყო. კონტრაქტი კიდევ ერთი წლით



„დი სტეფანო უნდა ვიყიდოთ“: სანტიაგო ბერნაბეუს დი სტეფანოზე ნათქვამი ისტორიაში შევიდა

გავაგრძელო. ჩემპიონატი მარტში იწყებოდა და დეკემბერში მთავრდებოდა. ტურები კვირაში ერთხელ იმართებოდა. თამაშის წინ, წესი იყო, გუნდები ერთმანეთს თავიანთებს ვიწყობდით. იმდენი მოვახერხებ, რომ ჩვენთვის ნაჩუქარი თავიანთები მერე სახლში მომქონდა და სარას ვჩუქნიდი. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა დღეებში ჩემი ფულით ნაყიდი ყვავილებით არ ვანებიერვებდი.

ჟურნალისტები კამათობენ, კოლუმბიურ კარიერაში რომელი იყო ჩემი საუკეთესო მატჩი. ჩემთვისაც არაერთხელ უკითხავთ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. შესაძლოა, ასეთი პედერანერის გამო-სათხოვარი მატჩი იყო, 1950 წლის დეკემბერში, რომელშიც ერთმანეთს კოლუმბიისა და უნგრეთის ნაკრებები შეხვდით. რადგან შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, გახსნილად, ხალხისით ვთამაშობდით და ულამაზესი სანახაობა გამოდგა.


მაგრამ თუ მნიშვნელობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ასეთი არა ერთი მატჩი, არამედ მთელი ტურნირი იყო, რომელიც 1952 წლის მარტში გაიმართა „რეალ მადრიდის“ 50-წლიან იუბილესთან დაკავშირებით.

ამ ტურნირში „მილიონარიოსი“ შემთხვევით არ მიუწვევიათ. იქამდე ერთი წლით ადრე ვენესუელაში რაღაც პატარა ტურნირი გაიმართა, სადაც „რეალიც“ იყო მიწვეული და დაგვამარცხა. თუმცა იოლად არ დავენებებულვართ, დიდი

გაკვირვებით 2:1 მოგვიგეს. არადა, ესპანელებს მოლონე, ზოსინტო, ზუანიტო, ალონსო, ოლავა, ნავარო ჰყავდათ ჩამოყვანილი — იმ დროის უდიდესი ვარსკვლავები.

სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, იუბილეს ჩვენი მიწვევა და თან დაგვიბრუნენ, მადრიდში რომ ჩამოხვალთ, უფრო მეტ გოლს გაგიტანოთ. მწარედ შეცდნენ და იუბილე ჩაუმწარდათ: მადრიდში ტურნირი ჩვენ მოვიგეთ.

ტურნირის დასრულებისთანავე „რეალის“ პრეზიდენტმა სანტიაგო ბერნაბეუმ ისტორიაში შესული ფრაზა თქვა: „დი სტეფანო უნდა ვიყიდოთ“. ბელის ირონიით, იგივე აზრი, ბერნაბეუმე ოდნავ ადრე, „ბარსელონას“ პრეზიდენტსაც გასჩენია და „მილიონარიოსისთვის“ ავანსი, 200 ათასი დოლარიც ვერგევი მიუცია. მე არაფერი ვიცოდი, მოგვიანებით ჩვენი პრეზიდენტი ენრიკე ოლგინი გამომიტყდა...



„ბარსელონას“ პრეზიდენტმა აგუსტი მონტალ გალობარტმა ვერობელთაგან პირველმა აღიარა დი სტეფანო



50-წლიან იუბილესზე დი სტეფანოს „მილიონარიოსს“ „რეალის“ ეს შემაღვნილობა შეხვდა



სარბიელი კროკო

ნარობიღბათი

| 1 X 2 1-X 1-2 X-2 | | | | | | | 1 X 2 1-X 1-2 X-2 | | | | | | | | | | |
|----------------------------------|-----|----------------------|------|-----|------|------|--|------|---------------------------|-----|-----------------------|------|-----|------|------|------|------|
| ესპანეთი | | | | | | | 30 ივნისი | | | | | | | | | | |
| II დივიზიონი. XXXXII ტური | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 28 ივნისი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 21.00 | 005 | ოვიედო-ლეგანტე | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 | 22.00 | 024 | იურგორდენი-პამარბი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 003 | ბადახოსი-სპორტინგი | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 | 22.00 | 025 | ენციოპინგი-გიოტებორგი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 23.30 | 006 | სარავოსა-სალამანკა | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 | 22.00 | 026 | მალმიო-პელსინგბორგი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 01.00 | 001 | ნუმანსია-სერესი | 2,25 | 2,8 | 3,4 | 1,24 | 1,35 | 1,53 | ნორვეგია. XII ტური | | | | | | | | |
| 29 ივნისი | | | | | | | 29 ივნისი | | | | | | | | | | |
| 21.00 | 004 | კომპოსტელა-მურსია | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 | 21.00 | 029 | ბრანი-ტრომსიო | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| 23.00 | 002 | ლას პალმასი-ელჩე | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 | 21.00 | 030 | რუსენბორგი-ბრინი | 1,2 | 6,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,75 |
| 24.00 | 007 | ტერასა-ლეგანესი | 2,2 | 2,6 | 3,4 | 1,19 | 1,33 | 1,47 | | 031 | რუსენბორგი-ბრინი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| რუსეთი. XVI ტური | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 28 ივნისი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16.00 | 018 | ზენიტი-ცსკა | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 | 21.00 | 032 | ალესუნდი-სტაბეკი | 3,2 | 3,4 | 2,05 | 1,64 | 1,24 | 1,27 |
| 16.00 | 019 | დინამო-სატურნი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 | 21.00 | 033 | ვიკინგი-მოლდე | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| შვედეთი. XII ტური | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 29 ივნისი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 20.00 | 023 | ლანდსკრონა-ელფსბორგი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 | 21.00 | 034 | სოგნდალი-ბოდიო გლიმტი | 2,0 | 3,5 | 3,2 | 1,27 | 1,23 | 1,67 |
| | | | | | | | 30 ივნისი | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 22.00 036 ლინი-ვოლერენგა 2,25 3,4 2,8 1,35 1,24 1,53 | | | | | | | | | | |
| | | | | | | | ესპანეთი. თასი. ფინალი. | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 28 ივნისი | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 24.00 055 მალიორკა-უელვა 1,9 3,2 3,8 1,19 1,26 1,73 | | | | | | | | | | |

| ინტერტოტოს თასი. | | | | | | | | | | | | | | | | | |
|------------------|-----|---|------|-----|------|------|---|------|------------------|-----|--|------|-----|------|------|------|------|
| 28 ივნისი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18.00 | 058 | ვიტ ჯორჯია(საქართველო)-პასინგი(აუსტრია) | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 | 20.30 | 066 | პიბერნანსი(მალტა)-აღიანსი(ფინეთი) | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 18.00 | 059 | იორგირტე(შვედეთი)-ჟალვირისი(ლიტვა) | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 | 22.00 | 067 | ოლიმპიკოსი(კიპროსი)-დუკნიცა(სლოვაკეთი) | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 060 | ვლორია(რუმინეთი)-ბანვორი(უელსი) | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 | 23.00 | 068 | გოტე(ფარერები)-დახია(მოლდოვა) | 2,9 | 3,3 | 2,25 | 1,54 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 061 | ეონიოსი(კიპროსი)-ეტი(უნგრეთი) | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 | 29 ივნისი | | | | | | | | |
| 19.00 | 062 | კოტაიკი(სომხეთი)-ბრნო(ჩეხეთი) | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 | 19.15 | 069 | შემროკი(ირლანდია)-ოცრა(პოლონეთი) | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 063 | ომბი(ჩრდ.ირლანდია)-მსტილი(ბელარუსი) | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 | 19.30 | 070 | მარეკი(ბულგარეთი)-ვიდეოტონი(უნგრეთი) | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 064 | აყერეირი(ისლანდია)-სლობოდა(ბოსნია) | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 | 20.00 | 071 | ჩახლავლი(რუმინეთი)-ტამპერე(ფინეთი) | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 20.30 | 065 | საერები(სორვატა)-კოპერი(სლოვენია) | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 | 20.00 | 072 | უნიონი(დუკლეინა)-სუტოესკა(სერბეთი) | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| | | | | | | | 21.00 073 ვილი(შვეიცარია)-ლინაბურგი(ლატვია) 1,6 3,5 5,3 1,09 1,22 2,1 | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 21.00 074 ლიერსი(ბელგია)-ენკამპი(ანდორა) 1,05 8,0 16,0 1 1 5,33 | | | | | | | | | | |

ფორულა I. ევროპა (გერმანია) - 28 ივნისი (12.00)

| 4001 გამარჯვებული | სამედი | მეხსენები | 4002 უმაღლესი | 4301 გამარჯვებული | | | |
|-------------------|--------|-----------|---------------|-------------------|------|-------|--------------|
| მ. შუმბერი | 1,7 | 4101 | 1,15 | 4201 | 1,1 | 1,8 | 4301 |
| ბარიკელი | 6,0 | 4102 | 1,7 | 4202 | 1,25 | 5,0 | გამარჯვებული |
| რაიონენი | 7,0 | 4103 | 1,8 | 4203 | 1,25 | 5,0 | განმარტებული |
| მონტოია | 7,0 | 4104 | 1,8 | 4204 | 1,3 | 5,0 | |
| კულტარდი | 10,0 | 4105 | 2,6 | 4205 | 1,35 | 10,0 | |
| რ. შუმბერი | 10,0 | 4106 | 2,3 | 4206 | 1,35 | 10,0 | |
| ალონსო | 17,0 | 4107 | 3,5 | 4207 | 1,35 | 17,0 | |
| ტრული | 35,0 | 4108 | 6,0 | 4208 | 1,8 | 35,0 | |
| ბატონი | 75,0 | 4109 | 15,0 | 4209 | 2,4 | 100,0 | |
| ვილნევი | 75,0 | 4110 | 15,0 | 4210 | 3,0 | 100,0 | |
| ფიციკლა | 75,0 | 4111 | 15,0 | 4211 | 3,0 | 100,0 | |
| პანისი | 75,0 | 4112 | 15,0 | 4212 | 3,0 | 100,0 | |
| ვებერი | 75,0 | 4113 | 15,0 | 4213 | 3,0 | 100,0 | |
| ფრენცენი | 100,0 | 4114 | 25,0 | 4214 | 3,0 | 100,0 | |
| პაიდფელი | 100,0 | 4115 | 25,0 | 4215 | 3,0 | 100,0 | |
| დი მატა | 100,0 | 4116 | 25,0 | 4216 | 3,0 | 100,0 | |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სამ თბილისურ გიგანტო

ქონსტანტინე გამსახურდიას
გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გომირიძისთან“, ყოფილი „დალისი“);

დიდომი, III ავრბალი, გრიგოლ
რობაქიძის გამზირი, I აორუნი


**პროკოპე შამუგუა სამუშაო
დრო განახანბრძობა**

**შაბათი 12.00-21.30
კვირა 12.00-20.30**

ცინცაძე იცის, რა არის თამაში

ქალიან იზვიათი: ქალიან ვაბარა, ქალიან ნიჭიერი და ქალიან თვითარსებობის

საქართველოს ნაკრების ყველაზე სუსტი წევრი იყო ქალიან ვაბარა, გამთამაშებლის პოზიციით. ამ ამპლუის ხეირიანი მოთამაშე ჯერაც არ ჩანს, თუმცა პერსპექტიული ბიჭები ყოველთვის იყვნენ. დღეს ყველაზე იმედისმომცემად ბასკოელი გიორგი ცინცაძე მიიჩნევა, რომელიც მხოლოდ 16 წლისაა და სხვა რჩეულ გამთამაშებლებს თუ ვერ სჯობს, ტოლსაც არაფერში უდებს. ცინცაძეს ბრაიკოვიჩმაძე დაადგა თვალი და, ცხადია, ნაკრებშიც მიიწვია. ნაკრები მეექვსე დღეა, შეიკრიბა, გიორგი კი კვლავაც ბათუმშია. მიზეზი საპატიო აქვს: იტალია, სლოვენია, რუსეთი — ამ ქვეყნების ნამყვანი კლუბები ცინცაძით დაინტერესდნენ და დღეს თუ ხვალ მას უცხოეთში გამგზავრება მოუწევს. გუშინ გიორგის ბათუმში შევხვდით და თავდაპირველად ნაკრებში ჩამოუსვლელიობაზე დავეკითხეთ



გიორგი ცინცაძე უცხოეთიდან ნიშანს ელის

— ზოგიერთი ბასკოელი ჯერაც ვვარჯიშობთ და ნაკრების შეკრებაზე იმიტომ ვერ ჩამოვდივარ.
— რა დროს ვარჯიშობ, ჩემპიონატი ზომ ახლახან დასრულდა...
— არა, აქ მხოლოდ ახალგაზრდები ვართ, უცხოეთში წასასვლელად ვემზადებით. ჩემს გარდა აქ ლაშა კეშელავა, ბუბა კვიციანი, ნიკა ჩხატარაშვილი და დათო იმნაძე არიან.
— ყველანი ერთად მიდიხართ საზღვარგარეთ? საით გაქვთ გეზი?
— შესაძლოა, ყველანი ერთად წავიდეთ, ანაც მე ცალკე, სხვა ქვეყანაში მომიწიოს გამგზავრება.
— ქვეყნებს რატომ არ ასახელებ?
— წინასწარ არ მინდა ლაპა-


რაკი, ყველაფერი რომ გადაწყდებოდა, მერე იყოს...
— თქვი, ვეგ სხვაგან წავიდეთ, ესე იგი, რამდენიმე ვარიანტი გქონია. ვარიანტებზე ვისაუბროთ...
— მე შეიძლება იმიტომ არ გავყვე დანარჩენებს მოსკოვში, რომ იტალიური „ბენეტონის“ და სლოვენური „ოლიმპიას“ ვარიანტები მაქვს. ვნახოთ, თუ შაბათამდე რომელიმე ამ კლუბიდან საჭირო საბუთები ჩამოვიდა, მოსკოვში, ცსკას კემპზე აღარ წავალ.
— „ოლიმპიასთან“ და „ბენეტონთან“ შენს საქმეებს ვინ აგვარებს?
— „ბასკოს“ პრეზიდენტი მერაბ ემირიძე, პირადი აგენტი არ მყავს.
— „ბენეტონი“ რომ შენითა და ინტერესებული, კარგა ხნის ამბავია. „ოლიმპიას“ ვარიანტი რამდენად სერიოზულია?
— მე არაფერი ვიცი, ამ საქმეს ბატონი მერაბი უძღვება, ახლახან მითხრა, სლოვენებიდან ქაღალდს ვეღვი, თუ მოვიდა, მივდივართ. იმასაც მოვკარი ყური, სლოვენებიდან, შესაძლოა, კონტრაქტი გაბიჭორდონ და სხვა, შედარებით სუსტ გუნდში გამანათხოვრონ.
— ჯერ მხოლოდ 16 წლის ხარ. ნადრევი ზომ არ არის საზღვარგარეთ წასვლა?
— არა, რატომ, საქართველოს ჩემპიონატში დონეს ვეღარ ავიმაღლებ, ჯობს, უფრო ძლიერ ლიგაში ვითამაშო.
— „დინამოსთან“ ფინალურ სერიაში კარგი თამაში შენი მაქსიმუმი იყო?
— ალბათ მაქსიმუმი იყო, მთელი მონდომებითაც ვითამაშობდი. ისე, ვთვლი, რომ კიდევ შემოიღია მომავალი, შემოიღია კი არა, თუ ნაღდი კალათბურთის თამაში მინდა, უნდა მოუკმატო კიდევ ჯერ არაფრისთვის მიმიღწევი, ეს არაა თამაში.
— აბა, რა არის თამაში?
— აი, კობი ბრაიანტი და ემანუელ ჯინობილი რომ თამაშობენ, ისაა თამაში.
— შენი გადასაწყვეტი რომ იყოს, ევროპაში სად ითამაშებდი?
— იტალიაში ან ესპანეთში.

ირაკლი პარტაია




ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებზე 200 მეტრზე შორბენილთა ფინალი. წინა პლანზე მარჯვნივ, შუაში, მუქი მაისურით — ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი

19 წლის ნადეჟდა 70 წლის ნადეჟდასა და ჩვენი თვალში



ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი და ია ფარულავა (2002 წ.)



შერა წაჩაშვილი

საქართველოს სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს. იგი იმათგანია, ვინც მსოფლიოს რეკორდებს ეთამაშებოდა.
ერთი ასეთი შედეგის მოწმე 1953 წელს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი უამრავი მაყურებელიც შეიქნა. მაშინ საფეხბურთო მატჩების შესვენებისას ერთი კარგი ტრადიცია იყო — საქართველოს მძლეოსანთა ასპარეზობები იმართებოდა და მაყურებელთა უდიდეს ინტერესსაც იწვევდა. ეს ბუნებრივად იყო, რადგან სარბიელზე გამოდიოდნენ ოლიმპიური თამაშების პრიზიორები, ევროპის ჩემპიონები და მსოფლიოს რეკორდსმენები. მათ შორის ხნიკინა-დვალიშვილიც იყო, რომელიც იმ წვიმიან დღეს 6 მეტრსა და 25 სანტიმეტრზე გადახტა, რაც მსოფლიოს რეკორდის გამეორება აღმოჩნდა.
— დედაჩემის მიერ იმ მსოფლიოს რეკორდის გამეორებას ხშირად იხსენებენ, დედაჩემმა ასე და ასე იასპარეზაო. — იხსენებს ქალბატონი ნადეჟდას შვილი, ნინო დვალიშვილი — რამდენჯერაც არ უნდა მიაბნონ ეს ამბავი, არ მწყინდება და, რა თქმა უნდა, მეამაყება, მით უმეტეს, რომ დედაჩემის რეკორდი სიგრძეზე ხტომაში საქართველოში დღემდე ვერავინ არათუ გააუტოვებდა, ვერც მოუახლოვდა, ასე რომ, დედაჩემმა დრო გააჩერა.
რად თქმა უნდა, ჩვენც გვეამაყება, რომ ხნიკინა-დვალიშვილი იყო არაერთგვაროვანი მსოფლიოს რეკორდსმენი არა მხოლოდ სიგრძეზე ხტომაში, არამედ 60, 100 მეტრზე რბენაში, აგრეთვე 4X100 და 4X200 მეტრზე ესტაფეტებში აძენდა, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს არა მხოლოდ საქართველოს, მსოფლიო სპორტის ისტორიაშიც თავისი ადგილი უკავია.

ქალბატონი ნადეჟდა არის ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში, 1953 წლის ახალგაზრდობის მსოფლიო თამაშების ჩემპიონი 4X200 მეტრზე და ორგზის მეორე პრიზიორი (100 და 200 მეტრზე), ამავე თამაშების 1957 წლის ვერცხლის მედალოსანი (სიგრძეზე ხტომაში); ამას გარდა ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი არის სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი.
როცა ვამბობთ, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს საქართველოს სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავიაო, ამაში, უწინარეს ყოვლისა, იმასაც ვგულისხმობთ, რომ იგი ჩვენი ათლეტებიდან პირველია, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე მედლები მოიპოვა და დღემდე პირველი და უკანასკნელი ქალი, ვინც ასეთი წარმატება იხეიმა.
ოლიმპიური თამაშები, ჰელსინკისა და მელბურნისა, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს დღემდე ყველაზე ლამაზ მოგონებად რჩება.
— აქედან ჰელსინკში გამოსულა ალბათ უფრო სასიამოვნო გასახ-

სენებელია — იხსენებს ქალბატონი ნადეჟდა — ძალიან კარგ სპორტულ ფორმაში მყოფი იქ ოქროს მედლის მოპოვებასთან სულ ახლოს ვიყავი. წინასწარ გარბენში პირველი ვიყავი და თანაც ოლიმპიური რეკორდი დავამყარე (24,3); უკეთესი შედეგით (24,1) ასევე პირველი ვიყავი ნახევარფინალში, მაგრამ გადამწყვეტ გარბენში ავსტრალიელმა მარჯვნივ ჯეკსონმა იმარჯვა (23,7), ვერცხლი ნიდერლანდელმა ბრაუნერმა მოიპოვა (24,2), მე კი შედეგი გავაუარესე (24,2) და მესამე ადგილზე გავედი. ფინალში ძალია აღარ მეყო. თითქმის სრულიად გამოუცდელი ვიყავი. ეს იყო ჩემი პირველი დიდი შეჯიბრება. იქ პირველად ენაზე ცოცხალი ამერიკელები და სხვებიც ამიტომ ჰელსინკში ყველაფერი უჩვეულოდ და ძალზე საინტერესოდ მეჩვენა. აი, ამიტომაცაა, რომ ჰელსინკს ასე ტკბილად ვიხსენებ.
ეს ყველაფერი კი ახლა იმანაც გაგვახსენა, რომ ის ცხრამეტი წლის გოგო, რომელმაც ჰელსინკში ეგზომ გაახარა მთელი საქართველო, ამ დღებში სამოცდაათისა მოიყარა.

ამთანადილ გურასაშვილი




ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსნობთან ოთარ ჭორჭიასა და ნოდარ ჭორჭიასთან ერთად (2002 წ.)

მსოფლიოს აღმოჩენა

ამ ნახტომს „მსოფლიოს აღმოჩენა“ ჰქვია. სიდნეის ნავსადგურში ამ ნახტომით იწყება ორი მოსერფის, ბენჯამინ რობინსონისა და დენი პრუნდერკასტის ტივტივა ტური მსოფლიოს გარშემო. ორნი მსოფლიოს ორმოცდაათ ქვეყანას ეწვევიან თავიანთი დაფებით და ამით ახალგაზრდა ავსტრალიელებს მიახმებენ, რომ მსოფლიო აღმოსაჩენი აქვთ.

REUTERS სიდნეიდან



REUTERS ლონდონიდან

გადაღება

რახან ჩოგბურთელები იფლს ღვრიან ლონდონის გარეუბანში, იქვე კინოს ხალხიც ღვრის იფლს. ცენტრალურ კორტზე შუა თამაშისას ფილმ „უიმბლდონის“ გადაღება მიმდინარეობს.

REUTERS ნიურნბერგიდან




ჯორჯსან პეტროპოლა

დაიას, ქალაქ ვანკუვერს ძალიან უნდა, რომ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის უმასპინძლოს. ეს ძალიან ენდობებოდა ქალაქის დამაარსებელს, სამეფო კაპიტან ჯორჯ ვანკუვერსაც, რომლის ძეგლთანაც აფრიალებულა ოლიმპიური დროშა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2 აგლისს პრელაში გადაწყვეტს, ვინ იქნება 2010 წლის ამ დიდი შეჯიბრის მასპინძელი, ვანკუვერი, ავსტრალიელი ზალცბურგი თუ სამხრეთკორეული პიონჯანგი.



REUTERS ვანკუვერიდან



REUTERS ტორონტოდან

შუმი შეიპარა

ნიურნბურგისგან ამ შაბათ-კვირას ვერძობის დიდი პრისი ვათამაშდება. მიხაელ შუმპახერი უკვე იქა და ჩაკეტილ შესასვლელს თხავარი ბიჭვით ვადის, თითქოს ისე, მეტროს ბილეთი რომ არა აქვს კაცს და ვაგონში მოხვედრა რომ უნდა, თუ შუმის ბილეთი არა აქვს და, სამსკელი აღარ ყოფილა.

სარბიელი
საქართველო გავაზით
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოცემის საშუალებით,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი: ზურაბ შონიძე
დირექტორი: გიორგი მამუკაშვილი
რედაქტორი: თამაზ მამუკაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: სოსო კობახიძე
ტექნიკური რედაქტორი: მამუკა შონიძე
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დიმიტრი თაყაიძე
კაბა ინსპირაციის რედაქტორი: ლია ბაგრატიონი
კაბა ინსპირაციის რედაქტორი: ლია ბაგრატიონი
კაბა ინსპირაციის რედაქტორი: ლია ბაგრატიონი

ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაზი
ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაზი
ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაზი
ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაზი
ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაზი

გადაცემის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზბაძის გამზირი 42, 11
კორპუსი, IV სართული.
საშობლო მისამართი:
თბილისი - 79, საშობლო
წუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვებსაიტი
http://www.sarbieri.com.ge